ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 21 თებერვალი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №44

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „პ.ბ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუქტისა და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის 2009 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება გაუქმდეს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის 244-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად. (ქ. ოზურგეთის კოსტავას ქ№1 მდებარე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 46.80 კვმ. ფართი, სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №42, ნაკვეთი №003, განაცხადის რეგისტრაციის №882008384216, თარიღი 25/12/2008.)

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer